

სიმბოლიზაცია 5-6 წლის ტიპურ და ენობრივი სირთულის მქონე
ბავშვების თამაშში

მარი მგელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2025 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარი მგელაძე

თარიღი: 19 ივნისი 2025წელი

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს სიმბოლური თამაშის უნარების გამოვლენას 5-6 წლის ასაკის ტიპური ენობრივი განვითარებისა და ენობრივი სირთულის მქონე ბავშვებში. კვლევის მიზანია დაადგინოს, როგორ განსხვავდება სიმბოლიზაციის დონე და ენის გამოყენების თავისებურებები ამ ორ ჯგუფს შორის, როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსთან თამაშისას. კვლევა ეფუძნება თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაციას. მონაცემები შეგროვდა ნახევრად სტრუქტურირებულ გარემოში ვიდეოდაკვირვებით, გაანალიზდა მაიკლ ქესბის სიმბოლური თამაშის შეფასების სქემით, ხოლო ენობრივი ნაწილი დამუშავდა CLAN პროგრამის გამოყენებით (MLU, MLT, TTR).

შედეგებმა ცხადყო, რომ ტიპური განვითარების ბავშვები ავლენენ უფრო მაღალი დონის სიმბოლიზაციას - მათ თამაშში აღინიშნება აქტიური სხვა-როგორც-აგენტი, კომპლექსური სქემები, და ლექსიკური მრავალფეროვნება, მაშინ როცა ენობრივი სირთულის მქონე ბავშვები ხშირად იყენებენ მარტივ სქემებსა და რეალურ ობიექტებს. აღსანიშნავია, რომ ენობრივი სირთულის მქონე ბავშვები თანატოლთან თამაშისას ავლენენ შედარებით უკეთეს ენობრივ მაჩვენებლებს.

კვლევა ემყარება ვიგოტსკის „უახლოესი განვითარების ზონის“ კონცეფციას, აგრეთვე ბრუნერის და ქესბის თეორიებს, და აჩვენებს, რომ სიმბოლური თამაშში წარმოადგენს არა მხოლოდ კოგნიტური და ენობრივი განვითარების მაჩვენებელს, არამედ ხელს უწყობს ამ უნარების განვითარებას შესაბამისი სოციალური კონტექსტების მეშვეობით. შედეგები ადასტურებს სიმბოლური თამაშის თერაპიულ და საგანმანათლებლო პოტენციალს ენობრივი სირთულის მქონე ბავშვების მხარდაჭერის პროცესში.

Abstract

This thesis examines the manifestation of symbolic play skills in 5- to 6-year-old children with typical language development and those with language impairments. The aim of the study is to identify how the level of symbolization and the characteristics of language use differ between these two groups during play interactions with both peers and adults. The research adopts a mixed-method approach, combining qualitative and quantitative methodologies. Data were collected through structured video observations, and analyzed using Michael Casby's Symbolic Play Assessment framework; linguistic aspects were processed via the CLAN program (measuring MLU, MLT, and TTR).

The results reveal that children with typical development display more advanced symbolic abilities, such as the use of active-other-as-agent roles, complex play schemes, and greater lexical diversity, while children with language impairments tend to rely on simpler schemes and real objects. Notably, children with language impairments demonstrated relatively stronger linguistic outcomes during peer interactions.

Grounded in Vygotsky's concept of the Zone of Proximal Development, as well as the theoretical models of Bruner and Casby, this study demonstrates that symbolic play not only reflects cognitive and linguistic developmental levels but also contributes to the advancement of these abilities through appropriate social contexts. The findings highlight the therapeutic and educational potential of symbolic play in supporting children with language impairments.